განკარგულება:**გ-63. 632435922**
თარიღი:**24/12/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“-ს 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს თავი III, მუხლი მე-16, პუნქტი მე-2, „ტ“ ქვეპუნქტი, თავი IV, მუხლი 24-ე, პუნქტი 2-ის შესაბამისად, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“-ს 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“-ს 2025 წლის პროგრამა (დანართი N1).
2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“-ს 2025 წლის შემოსავლები (დანართი N2)
3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“-ს 2025 წლის პროგრამის განხორციელების ხარჯები (დანართი N3).
4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“-ს 2025წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (დანართი N4).
5. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“-ს 2025 წლის ხელშეკრულებით აყვანილ სპორტსმენთა სახელფასო ფონდი (დანართი N5).

დანართი N 1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,ხელბურთელთა კლუბი სამტრედია”-ს 2025 წლის

აღწერა

ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი “სამტრედია“ ემსახურება სპორტის მასობრიობას და პოპულარიზაციას , მოზარდი თაობის ჩაბმას სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში,

ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ გაერთიანდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში როგორც ვაჟები ისე გოგონები, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს მასშტაბით (საჭიროების შემთხვევაში საზღვრებს გარეთაც) ჩატარებულ სხვადასხვა ჩემპიონატებსა და ტურნირებში ხელბურთში და აღიზარდონ პროფესიონალ სპორტსმენებად, მომავალში მათ უნდა წარმოადგინონ და ასახელონ სამტრედიის მუნიციპალიტეტი საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთაც.

მიზ ანი

ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია"-ს მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტში ხელბურთის განვითარების ხელშეწყობა, ხელბურთის გაჯანსაღება და გაუმჯობესება, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარება და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, ვაჟებსა და გოგონათა შორის. აგრეთვე საქართველოს მასშტაბით და მის საზღვრებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნირებში მონაწილეობა, არსებული ტრადიციების შენარჩუნება და ახალი წარმატებების მოპოვება, წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდების კანდიდატების მომზადება. სპორტული ღონისძიებათა კალენდარის შემუშავებითა და შესრულებით სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა.

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები:

1. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ვაჟთა შორის.

2. საქართველოს თასის გათამაშება ვაჟთა შორის.

3. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი გოგონათა შორის.

4. საქართველოს თასის გათამაშება გოგონათა შორის.

5. საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის.

6. საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის.

7. მ. ქიშმარიას და ვ. ხელისუფალის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.

8. რ. მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.

9.ქალაქის სასკოლო ფესტივალი ,,ხელბურთი ყველასათვის" გოგონებსა და ვაჟებს შორის.

რესურსი

ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია" ფინანსდება 100% ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდიით.

პროგრამის შუალედური შედეგები

ფუნქციონირებას გააგრძელებს სპორტული ჯგუფები ვაჟებსა და გოგონებს შორის სხვადასხვა ასაკების მიხედვით.

ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის და გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით.

საბოლოო შედეგები

ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი სამტრედიას მიერ განხორციელებული პროგრამის შედეგად კლუბმა მიაღწია წარმატებებს საქართველოს ტერიტორიაზე ვაჟთა და გოგონათა გუნდებს შორის ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებებში. კერძოდ: ზემოთ აღნიშნული წარმატებების შედეგად ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"-ს მოთამაშეებიდან წარმატებული სპორტსმენები ვაჟები და გოგონები ირიცხება საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში, რომლებიც ემზადებიან მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებისთვის.

დანართი N2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,ხელბურთელთა კლუბი სამტრედია"-ს 2025 წლის შემოსავლები ათ.ლარი

#	შემოსავლის დასახელება	თანხის ოდენობა
1	სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	214,50
2	სულ	214,50

დანართი N3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია"-ს 2025 წლის პროგრამის განხორციელების ხარჯები ათ.ლარი

დანართი N4

ეკ. კლას. კოდი	ორგანიზაციული კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან	2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები
	05010204	ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია"	214.50	214.50
		მომუშავეთა რიცხოვნობა	18	18
2		ხარჯები	214.50	214.50
2.1		შრომის ანაზღაურება	90.30	90.30
2.2		საქონელი და მომსახურება	123.20	123.20
2.8		სხვა ხარჯები	1.00	1.00

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,ხელბურთელთა კლუბი

სამტრედია"-ს 2025 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (ლარი)

#	თანამდებობა	საშტატო ერთეული	თანამდებობრივი სარგო	სულ თანამდებობრივი სარგო წლიური

			თვეში	
1	**დირექტორი** **მთ. მწვრთნელი ,,გ“ კატეგორია**	**1**	**1309**	**15708**
2	**ბუღალტერი**	**1**	**1005**	**12060**
3	**მთ. მწვრთნელ-მასწავლებელი**	**1**	**1005**	**12060**
4	**მწვრთნელ-მასწავლებელი**	**1**	**1005**	**12060**
5	**მწვრთნელ-მასწავლებელი**	**1**	**550**	**6600**
6	**მენეჯერი**	**1**	**1005**	**12060**
7	**ექთანი**	**1**	**641**	**7692**
8	**მთ. სპეციალისტი**	**1**	**1005**	**12060**
9	**სულ**	**8**	**7525**	**90300**

დანართი N5

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია”-ს 2025 წლის ხელშეკრულებით აყვანილ სპორტსმენთა ანაზღაურება (ლარი)

N	**დასახელება**	**შტატი**	**თვის განაკვეთი**	**წლიური (8თვე)** **სულ**
1	**სპორტსმენი**	**10**	**5125**	**41000**

6. **განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.**

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული
ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი